ქალაქ ბათუმის მწვანე ფუნქციური რეკრეაციული ზონების ტერიტორიული ორგანიზაცია და ეკოლოგიური მდგომარეობა

მერაბ ფუტკარაძე, მონიკა ლიპარტია

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
merab.putkaradze@bsu.edu.ge, monikalipartia12@gmail.com

რეზიუმე

კვლევის ტრადიციული და თანამედროვე მეთოდების საშუალებით შესწავლილია ქალაქ ბათუმის მწვანე ფუნქციური ზონების ტერიტორიული ორგანიზაცია, მათი რეკრეაციული მნიშვნელობა და პოტენციალი. შეფასებულია რეკრეაციულ ზონებში ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურისტთა გამტარობის პოტენციალის ძირითადი მახასიათებლები. გარკვეულია ცალკეულ მწვანე ფუნქციურ რეკრეაციულ ზონებში რეკრეაციულ საქმიანობასთან დაკავშირებული ეკოლოგიური პრობლემები. კვლევის საფუძველზე დასახულია მწვანე ფუნქციური რეკრეაციული ზონების რაციონალური ბუნებათსარგებლობის გამოყენების გზები და ქალაქის შიდა ტერიტორიული სისტემების ჰარმონიული ფუნქციონირების ოპტიმიზაციის საკითხები.

საკვანძო სიტყვები: რეკრეაცია, ტურიზმი, დასვენება, ეკოლოგია

1. შესავალი.

კვლევის ძირითადი მიზანია, შეფასდეს ქალაქ ბათუმის მწვანე ფუნქციური რეკრეაციული ზონების ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალი, მათი როლი და მნიშვნელობა ტურიზმის განვითარებაში და ადგილობრივი მოსახლეობის დასვენების საქმეში. აგრეთვე, დადგინდეს რეკრეაციული ზონებში ბუნებათსარგებლობასთან დაკავშირებული პრობლემები და მათი მოგვარების გზები. დასახული მიზნის მისაღწევად საჭიროა შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

- დადგინდეს მწვანე ფუნქციური ზონების რაოდენობა, ფართობი, ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალი და მათი ტერიტორიული ორგანიზაციის თავისებურებები;
- გარკვეული იქნეს მწვანე ფუნქციური რეკრეაციული ზონების ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალი, როლი და ადგილი ქალაქის ფუნქციურ სტრუქტურაში;
- შესწავლილი იქნას მწვანე რეკრეაციულ ზონებში ტურისტთა გამტარობის ეკოლოგიური პოტენციალი და მის საფუძველზე გამოვლინდეს ეკოლოგიური პრობლემები;
- შეფასდეს მწვანე ფუნქციური რეკრეაციული ზონების ბუნებათსარგებლობის ეკოლოგიური მდგომარეობა და დადგინდეს მათი რეკრეაციული მიზნებით გამოყენების ძირითადი მახასიათებლები;
- დაისახოს ქალაქ ბათუმის მწვანე ფუნქციური რეკრეაციული ზონების ბუნებათსარგებლობის ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის და რაციონალური გამოყენების გზები.

2. კვლევის მეთოდოლოგია.

კვლევა ეფუძნება როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე მეთოდებს. გამოყენებული იქნა საველე კვლევის, სტატისტიკური, შედარების, სივრცე-დროის ანალიზის, სოციოლოგიური კვლევის, გეოინფორმაციული და სხვა მეთოდები.

კვლევის მონაცემთა ბაზა ეფუძნება აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის, ქალაქ ბათუმის მერიის და მწვანე ფუნქციური ზონების ადმინისტრაციების მასალებს, აგრეთვე, ტურიზმის და ეკოლოგიასთან დაკავშირებულ თეორიულ მასალებს.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს ქალაქი ბათუმი და მისი მწვანე ფუნქციური რეკრეაციული ზონები, რომელთა საერთო რაოდენობა 62 ერთეულია, ხოლო ფართობი 1 507 022 კვ. მ-ია, ანუ საერთო ფართობის 2,3%.

3. განხილვა.

საქართველოში, ქალაქი ბათუმი ერთ-ერთი დინამიურად მზარდი ქალაქია, რომელიც როგორც მოსახლეობის რიცხოვნობით, ისე ტერიტორიების გაფართოებით თვალსაზრისითაც საკმაოდ ჩქარი ტემპით იზრდება. შესაბამისად, ქალაქში ნორმალური ცხოვრებისთვის და ჯანსაღი ეკოლოგიური მდგომარეობისთვის საჭიროა მწვანე ფუნქციური რეკრეაციული ზონების არსებობა. გამომდინარე, აქედან ბათუმის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში წარმოდგენილია მცირე, საშუალო და დიდი ზომის მწვანე რეკრეაციული ზონები (იხ. ნახ.1).

საველე-კვლევის და ემპირული კვლევის მეთოდის გამოყენების საშუალებით შეგროვილი მასალებით ირკვევა, რომ ქალაქ ბათუმში მწვანე ფუნქციური რეკრეაციული ზონები არსებობს მუნიციპალიტეტის აბსოლუტურად ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში რომელთა რაოდენობა 62 ერთეულია, ხოლო საერთო ფართობი 1 507 022 კვ. მ-ია (150,7 ჰა), ანუ ქალაქის მთელი ტერიტორიის 2,3% (იხ. ნახ 1).



ნახ. 1. ქალაქ ბათუმის მწვანე ფუნქციური ზონების ტერიტორიული ორგანიზაცია

იმისათვის, რომ გარკვეული იქნეს ქალაქ ბათუმში მწვანე ზონების დანიშნულება ქალაქის მეურნეობის საერთო სისტემაში, უნდა დადგინდეს ქალაქის ცალკეული ფუნქციის რაოდენობრივი მაჩვენებლები და ამით განისაზღვროს არის თუ არა იგი ქალაქის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია. ყველაზე იოლი მეთოდი ფუნქციური სტრუქტურის დადგენისთვის არის პროდუქციის ღირებულების სტრუქტურის მიხედვით [რონდელი, 1990; ჯაოშვილი, 1983]. ამ მეთოდით ქალაქის ფუნქციად ჩაითვლება ის ფუნქცია, რომლის პროდუქციის ღირებულება აღემატება ქვეყნის მასშტაბით ანალოგიური ფუნქციის საშუალო ხვედრით წილს. ეს საკითხი რამდენიმე წლის წინ დეტალურად შესწავლილი იქნა პროფ. მ. ფუტკარაძის მიერ [M.Putkaradze, 2016]. ქალაქ ბათუმში 2013 წელს ტურიზმის ხვედრითი წილი მთლიან შიდა

პროდუქციაში იყო 6,5%, როცა ქვეყნის მასშტაბით 4,4%. გამომდინარე აქედან, ტურიზმი ჩაითვლება ქალაქ ბათუმის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციად. ამჟამად ეს მაჩვენებლები ტურიზმის სასარგებლოდ გაზრდილია, რადგან 2013 წელს ბათუმში ტურისტების რაოდენობა იყო 295 850, ხოლო 2024 წელს - 514250. იმასთან დაკავშირებით, რომ ტურისტები სარგებლობენ ქალაქის რეკრეაციულ ზონებს (ბულვარებს, ბოტანიკურ ბაღს, სკვერებს და სხვ.), შესაბამისად, მწვანე ზონების რეკრეაციული დანიშნულება ქალაქში საკმაოდ მაღალია და მისი ადგილი ქალაქის რეკრეაციული ფუნქციის შესრულებაში განსაკუთრებულია.

კვლევა ცხადყოფს, რომ საკვლევ ქალაქში ამ კუთხით კარგი პირობებია და მწვანე რეკ-რეაციული ზონები გვხდება ქალაქის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში (ნახ.1). სპეცია-ლისტები მიიჩნევენ, რომ რეკრეაციული ბუნებათსარგებლობა მოიცავს სანიტარიულ-საკურორტო მკურნალობას, გამაჯანსაღებელ დასვენებას ბუნებაში, აგარაკზე და მწვანე ზონებში. დასვენების ამ სახემ განსაკუთრებული პოპულარობა და აქტუალობა მოიპოვა ჩვენს ეპოქაში, როცა ურბანიზაციის მაღალი ტემპის შედეგად მკვეთრად იმატა ცხოვრების რიტმმა და დაძაბულობამ [პავლიაშვილი, 2008; სეფერთელაძე და სხვ. 2011; უკლება, 2009].

საკვლევ ტერიტორიაზე რეკრეაციული მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებული ეკოლოგიური პრობლემები ფაქტობრივად მწვავედ გამოკვეთილი არ არის, მაგრამ მიუხე-დავად ამისა რეკრეაციული საქმიანობის ფუნქციონირება გარკვეულ ეკოლოგიურ ცვლი-ლებებს იწვევს. ამ მიმართებით აჭარის რეგიონში ჩატარებული კვლევებითაც [Putkaradze & Khorava, 2016; Putkaradze et al., 2021] დასტურდება, მაგრამ აღნიშნული პრობლემა მწვავე ხასიათს არ ატარებს.

ცნობილია, რომ ქალაქ ბათუმის მწვანე ფუნქციურ რეკრეაციულ ზონებში ეკოლოგიური მდგომარეობაზე მეტ-ნაკლებ გავლენას ახდენენ ტურისტები და ადგილობრივი მოსახლეობა. იმისათვის, რომ გავარკვიოთ რეკრეაციულ ზონებში რეკრეანტთა დატვირთვის შედეგად რა ეკოლოგიური ცვლილებები აღინიშნება, საჭიროა გავარკვიოთ ტურისტთა გამტარობის პოტენ-ციალი, რომელიც იყოფა სამ ძირითად სახეობად: 1. ეკოლოგიური გამტარობის პოტენციალი; 2. ტურიზმის სოციალური გამტარობის პოტენციალი; 3. ადგილობრივი სოციალური გამტა-რობის პოტენციალი [ბირჟაკოვი, 2012].

ეკოლოგიური გამტარობის პოტენციალის გასარკვევად კომპლექსურად შესწავლილი იქნა ბათუმის ბულვარი და ცენტრალური პარკი. საკითხის შეფასებისთვის უწინარესად საჭიროა გარკვეული იქნეს რეკრეანტთა სიმჭიდროვე და განლაგების კომფორტულობის ხარისხი. მართალია, რეკრეანტთა განლაგების (სიმჭიდროვე) კომფორტულობის სტანდარტი მსოფლიოს მასშტაბით უნიფიცირებული მაჩვენებელი არ არსებობს, მაგრამ ჩვენი შეხედულებით არსებული ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით ერთ ადამიანზე საშუალოდ 5 კვ. მ მისაღები იქნება (ემპირული დაკვირვებით და დამსვენებელთა გამოკითხვით ეს ფართობი მისაღებია). გამომდინარე აქედან, ბათუმის ბულვარს ერთდროულად შეუძლია მიიღოს (ფართობი 103,1 ჰა, მაგრამ დაახლოებით 60%, ანუ 78,06 ჰა მოდის უშუალოდ იმ სივრცეზე, სადაც ტურისტები დადიან და ისვენებენ) 156 120 დამსვენებელი. აღნიშნული მაჩვენებლები ცენტრალურ პარში (საერთო ფართობი 59768 კვ. მ, აქედან მხოლოდ 1/3 ნაწილი მოდის იმ ტერიტორიაზე, სადაც რეკრეანტები გადაადგილდებიან, ანუ 19922 კვ. მ.) - არის 2390. ქალაქ ბათუმში 2024 წელს ტურისტების რაოდენობა იყო 514250 (ყველა ტურისტი სარგებლობს ბულვარს). თუ ამ მაჩვენებელს დავამატებთ ადგილობრივ მოსახლეობას, რომლებიც სარგებ-ლობენ ბულვარს საშუალო მაჩვენებელი დაახლოებით იქნება (ბათუმის მოსახლეობა 2024 წელს იყო 183 200, ბულვარით სარგებლობს საშუალოდ 10 კაციდან - 1) 18 300 კაცი, ანუ

ტურისტებთან ერთად - 532 550. აქვე უნდა ითქვას, რომ ბათუმის ტურისტების დიდი ნაწილი 70% ივნის-სექტემბრის თვეებზე მოდის, ანუ საშუალოდ ოთხი თვის განმავლობაში 359 975 ტურისტი. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ტურისტების 90% ყოველდღიურად გადის ბულვარში, მაშინ მათი რაოდენობა იქნება 323 980, მაგრამ საშუალოდ ოთხი თვის განმავლობაში ყოველდღიურად (323 980 : 120) 2700 ტურისტი. თუ აღნიშნულ მაჩვენებელს დავუმატებთ ადგილობრივ მოსახლეობას (2700 +18 300), მაშინ მათი საერთო რაოდენობა იქნება - 21 000. თუ ბათუმის ბულვარის რეკრეანტთა ერთდროული მიღების პოტენციალი არის 156 120, გამოდის, რომ ზაფხულში პიკის პერიოდში ბულვარის საშუალო დატვირთვა მხოლოდ 13,5%-ია. რაც შეეხება ცენტრალურ პარკს მისი რეკრეაციული ფუნქცია მთელი წლის განმავლობაში ხორციელდება, მაგრამ აქ ბევრად უფრო ნაკლები რეკრეანტია, ვიდრე ბულვარში. მართალია, ცენტრალურ პარკში რეკრეანტთა ოფიციალური რაოდენობის შესახებ მონაცემები არ არსებობს, მაგრამ ემპირული დაკვირვების შედეგად მისი საშუალო მაჩვენებელის პიკი ივნის-სექტემბრის პერიოდზე მოდის და მათი რაოდენობა საშუალოდ ყოველდღიურად დაახლოებით იქნება (ყოველი 7 ტურისტიდან - 1, ანუ (323 980:120) : 7 = 385. თუ ამ მაჩვენებელს დავუმატებთ ადგილობრივ მოსახლეობას საშუალოდ 100 კაციდან -1 კაცი (183 200:100 = 1832), მაშინ რეკრეანტთა საშუალო მაჩვენებელი ყოველდღიურად (385+1832) იქნება - 2217, ანუ პიკის პერიოდში დატვირთვა საერთო პოტენციალიდან (19922:5=3984) იქნება (2217:3983) 55,7%, ანუ ბევრად უფრო მაღალი ვიდრე ბულვარში (13,5%). ბათუმის ბულვარში და ცენტრალურ პარკში ტურისტთა ეკოლოგიური გამტარობის პოტენციალი დარღვეული არ არის. შესაბამისად, ამ კუთხით ბუნებათსარგებლობის ეკოლოგიურ პრობლემებს ადგილი არ აქვს, თუ არ გავითვალისწინებთ ბალახეული საფარის უმნიშვნელო გათელვას, ხმაურს, ნაგვის გადაყრას, ელექტრომაგნიტური ფონის მომატებას და სხვა.

თუ ბათუმის ბულვარში ტურისტთა ეკოლოგიური გამტარობის პოტენციალს განვიხილავთ ტურიზმის სოციალური გამტარობის პოტენციალის სახეობის მიხედვით, რომელიც გულისხმობს - ვიზიტის დონეს, რომლის გადაჭარბებასაც მივყავართ მოგზაურობის, შთაბეჭდილების გაუარესებამდე [ბირჟაკოვი, 2012]. ამ მიმართებით ფაქტობრივად პრობლემა არ არის, რადგან ბულვარის საერთო პოტენციალიდან პიკის პერიოდში დატვირთვა არის მხოლოდ 13,5%, ხოლო ცენტრალურ პარკში 55,7%. საკითხის გარკვევისთვის გამოვიყენეთ თვისობრივი კვლევის სიღრმისეული ინტერვიუების მეთოდი [Lu & Nepal, 2009]. ამ მიმართებით ჩვენს მიერ დამსვენებლებთან ჩატარებული იქნა სოციოლოგიური გამოკითხვა. კითხვაზე, არის თუ არა ბულვარში კომფორტული დასვენების პირობები? 104 გამოკითხულიდან, კი დაასახელა 98-მა, ანუ 94,2%-მა; კითხვაზე, როგორ შეაფასებდით ბულვარის ეკოლოგიურ მდგომარეობას? 104 გამოკითხულიდან 62-მა, ანუ 59,6% დაასახელა - „საუკეთესო“; 34-მა, ანუ 36,7%-მა „კარგი“; 8-მა ანუ, 3,7% - „დამაკმაყოფილებელი“. რაც შეეხება ანალოგიურ კვლევას ცენტრალურ პარკში კითხვაზე, არის თუ არა ბულვარში კომფორტული დასვენების პირობები? 62 გამოკითხულიდან, კი დაასახელა 57-მა, ანუ 91,9%-მა; კითხვაზე, როგორ შეაფასებდით პარკის ეკოლოგიურ მდგომარეობას? 62 გამოკითხულიდან 39-მა, ანუ % 62,9% დაასახელა - „საუკეთესო“; 21-მა, ანუ 33,8%-მა „კარგი“; 2-მა ანუ, 3,3% - „დამაკმაყოფილებელი“. ცხადი ხდება, რომ ბულვარში და ცენტრალურ პარკში ეკოლოგიური მდგომარეობა საუკეთესოა და დასვენებისთვის კომფორტული პირობებია.

ადგილობრივი სოციალური გამტარობის პოტენციალის გარკვევისთვის რეკრეანტებს ბათუმის ბულვარში დაესვა შემდეგი კითხვები: ბულვარში სეირნობისას ხელს გიშლით თუ არა ტურისტთა სიმრავლე? 68 გამოკითხულიდან 59 -მა, ანუ 86,7 %-მა დაასახელა - არა.

კითხვაზე, ახდენენ თუ არა ტურისტები ბულვარის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას? 68 გამოკითხულიდან 56-მა, ანუ 82,3 %-მა დაასახელა - არა. რაც შეეხება სოციოლოგიური გამოკითხვებს ცენტრალურ პარკში შედეგები ასეთია: ახალგაზრდობის პარკში სეირნობისას ხელს გიშლით თუ არა ტურისტთა სიმრავლე? 43 გამოკითხულიდან 36 - მა, ანუ 83,7 %-მა დაასახელა - არა. კითხვაზე, ახდენენ თუ არა ტურისტები ბულვარის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას? 43 გამოკითხულიდან 33-მა, ანუ 76,7 %-მა დაასახელა - არა. კვლევით ცხადი ხდება, რომ ამ მიმართებითაც აღნიშნულ რეკრეაციულ ზონებში დასვენებისთვის საუკეთესო პირობებია.

ეკოლოგიური გამტარობის პოტენციალის სამივე სახეობის განხილვით დადგინდა, რომ ბათუმის ბულვარში და ცენტრალურ პარკში ეკოლოგიური მდგომარეობა გაუარესებული არ არის. შესაბამისად, ბულვარის ცალკეულ ზონში (ძველი ბულვარი, ახალი ბულვარი) და ცენტრალურ პარკში ტურისტთა ეკოლოგიური გამტარობის პოტენციალის მეთოდოლოგიის [ბირჟაკოვი, 2012] გამოყენებით რაოდენობრივი მაჩვენებლებიდან გამომდინარე (საერთო პოტენციალიდან პიკის პერიოდში ბულვარში დატვირთვა არის მხოლოდ 13,5%, ხოლო ცენტრალურ პარკში 55,7 %) ეკოლოგიური მდგომარეობა პირობითად შეიძლება შეფასდეს: „საუკეთესო“, „კარგი“ და „დამაკმაყოფილებელი“ (იხ. ცხრილი 1).

ცნობილია, რომ ბათუმის ბულვარი და ცენტრალური პარკი მთელი წლის განმავლობაში დატვირთულია, როგორც ადგილობრივი მოსახლეობით, ისე ტურისტებით. იმისათვის, რომ დავადგინოთ აღნიშნული რეკრეაციული ობიექტების ეკოლოგიური მდგომარეობა, უნდა გავარკვიოთ ტურისტთა გამტარობის ერთ-ერთი ფორმა „ზღვრული დატვირთვა“, რომელიც გულისხმობს სიმჭიდროვის იმ დონეს, რომლის გადაჭარბებაც იწვევს ბუნებრივი და კულტურული ლანდშაფტის კომპონენტთა შეუქცევად დარღვევას [მეტრეველი, 2008]. ამ კუთხით ჩატარებული კვლევის თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია ცხრ.1-ში.

ცხრილი 1

ბათუმის ბულვარის და ცენტრალური პარკის ეკოლოგიური მდგომარეობა (2025 წელი)

რეკრეაციული ზონები		ტურისტთა გამტარობის პოტენციალის ეკოლოგიური მდგომარეობა		ტურისტული ინფრასტრუქტურის ობიექტთა გავლენა ეკოლოგიურ მდგომარეობაზე
		ეკოლოგიური გამტა-რობის პოტენციალი	ზღვრული დატვირთვა	
ბათუმის ძველი ბულვარი	ჩრდილოეთი ზონა	დამაკმაყოფილებელი	უმნიშვნელოდ გაუარესებული	საუკეთესი
	ცენტრალური ზონა	დამაკმაყოფილებელი	უმნიშვნელოდ გაუარესებული	საუკეთესი
	სამხრეთი ზონა	კარგი	კარგი	კარგი
ბათუმის ახალი ბულვარი	ჩრდილოეთი ზონა	კარგი	კარგი	საკმაოდ გაუარესებული
	ცენტრალური ზონა	კარგი	უმნიშვნელოდ გაუარესებული	საკმაოდ გაუარესებული
	სამხრეთი ზონა	საუკეთესი	საუკეთესო	საკმაოდ გაუარესებული
ცენტრალური პარკი		კარგი	კარგი	საუკეთესო

წყარო: ცხრილი შედგენილია ბათუმის მერიის სტატისტიკური მასალების, საველე კვლევის და ემპირული მონაცემების საფუძველზე

რეკრეაციული ზონის ეკოლოგიურ მდგომარეობას გარკვეულწილად აუარესებს ტერიტორიის ტურისტული ინფრასტრუქტურის ობიექტებით დატვირთვა. ამ კუთხით რეკრეაციული ზონების ცალკეულ ობიექტებში მეტ-ნაკლებად აღინიშნება ეკოლოგიური მდგომარეობის ცვლილება, გარკვეულ შემთხვევაშიც ეკოლოგიური მდგომარეობა საკმაოდ დარღვეულია (იხ. ცხრ.1).

4. შედეგები.

ჩატარებული საველე-კვლევითი, სიღრმისეული ინტერვიუების და ემპირული კვლევის მეთოდების გამოყენებით ბათუმის ბულვარის და ცენტრალური პარკის ბუნებათსარგებლობის ეკოლოგიური მდგომარეობა წარმოდგენილია ცხრილ 1-ზე.

კვლევას, რომ ჰქონდეს კომპლექსური და შემეცნებითი ხასიათი ამისათვის საჭიროა ქალაქ ბათუმის მწვანე ფუნქციური ზონების ბუნებათსარგებლობის ეკოლოგიური მდგომარეობის სივრცობრივი თავისებურებების ასახვა გეოინფორმაციული -GIS მეთოდის საშუალებით (იხ. ნახ 2).



ნახ. 2. ქალაქ ბათუმის მწვანე ფუნქციური ზონების ეკოლოგიური მდგომარეობა

კვლევა ცხადყოფს, რომ ქალაქ ბათუმის მწვანე ფუნქციური რეკრეაციული ზონებში რეკრეაციული საქმიანობის შედეგად მეტ-ნაკლებად აღინიშნება ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესების ცალკეული ფაქტები (იხ. ნახ. 2), მაგრამ მიუხედავად ამისა არ იქმნება დასვენებისთვის ხელშემშლელი პირობები. არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების შემთხვევაში ბევრად უფრო ამაღლდება ბათუმის რეკრეაციული დანიშნულების როლი საერთაშორისო მასშტაბით. ამიტომ, უწინარესად საჭიროა არსებული პრობლემების აღმოფხვრის მიმართულებით პრევენციული ღონისძიებების გატარება და გადაჭრის კუთხით რეკომენდაციების დასახვა.

ქალაქის ტერიტორიაზე მწვანე რეკრეაციული პარკებში ეკოლოგიური მდგომარეობის კიდევ უფრო გაუმჯობესების მიზნით უწინარესად, ერთის მხრივ, უნდა მოხდეს დასვენებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რათა მაქსიმალურად დააკმაყოფილონ ადგილობრივი მოსახლეობის რეკრეაციული მოთხოვნილებები, ხოლო მეორეს მხრივ, მიიზიდონ ტურისტებიც. მნიშვნელოვანია პარკებში მწვანე საფარის კიდევ უფრო გაფართოება

და დეკორატიული ადგილების შექმნა. პარკებთან მიმართებით ასევე მოსაწესრიგებელია მიმდებარედ სატრანსპორტო კომუნიკაციების გადაადგილების მასშტაბების შემცირება, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს ხმაური და ატმოსფეროს დაბინძურება.

ქალაქ ბათუმის მწვანე ფუნქციური რეკრეაციული ზონების ბუნებათსარგებლობის ეკოლოგიური მდგომარეობის შესწავლას, არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას და გადაჭრის მიმართულებით დასახული რეკომენდაციების დასახვას ექნება, როგორც შემეცნებითი, ისე გამოყენებითი მნიშვნელობა. მისი გათვალისწინება ხელს შეუწყობს რეგიონში ტურიზმის კიდევ უფრო განვითარებას და ქალაქის შიდა ტერიტორიული სისტემების ჰარმონიული ფუნქციონირების.

5. დასკვნა.

ქალაქ ბათუმში მწვანე ფუნქციური რეკრეაციული ზონების როლი და ადგილი ქალაქის ფუნქციურ სტრუქტურაში საკმაოდ მაღალია, რომელიც ემსახურება, როგორც ტურისტების, ისე ადგილობრივი მოსახლეობის რეკრეაციული მოთხოვნების დაკმაყოფილებას. მწვანე ფუნქციური რეკრეაციული ზონების ეკოლოგიური მდგომარეობა უპირატეს ნაწილში "საუკეთესო" და "კარგია", რაც ტურიზმის შემდგომი განვითარებისთვის კარგი პერსპექტივაა. რეკრეაციულ ზონებში ბუნებათსარგებლობის ეკოლოგიურ მდგომარეობასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა უნდა განხორციელდეს რაციონალური ბუნებათსარგებლობის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით და ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა უნდა წარმართოს ესთეტიკური გარემოს შენარჩუნების მიმართულებით. შესაბამისად, ტურიზმის განვითარება უნდა ეფუძნებოდეს მდგრადი განვითარების ძირითად პრინციპებს, ხოლო მისი რეალიზაცია უნდა მოხდეს ქვეყნის ტურიზმის პოლიტიკის ეფექტური მარკეტინგის და მენეჯმენტის განხორციელების შედეგად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბირჟაკოვი მ. ტურიზმის თეორია, თბილისი, 2012.
2. მეტრეველი მ. ტურიზმი და გარემოს დაცვა. თბილისი. 2008.
3. პავლიაშვილი ნ. ტურიზმის განვითარების ძირითადი ფაქტორები''. თბილისი, 2008.
4. რონდელი ალ, ქალაქის გეოგრაფია. თბილისი. 2009
5. სეფერთელაძე ზ., დავითაია ე., მარგველიანი გ. ბუნებათსარგებლობის გეოგრაფია. თბილისი, 2011.
6. უკლება ნ. ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, თბილისი. 2008.
7. ჯაოშვილი ვ. მოსახლეობის გეოგრაფია. თბილისი,1983.
8. Lu, J., & Nepal, K. Sustainable Tourism Research: An Analysis of the Papers Published in the Journal of Sustainable Tourism. Journal of Sustainable Tourism. 2009. Vol. 17(1), pp. 5-16.
9. Putkaradze, M. & Khorava, S. Tourism Industry's Influence on Recreational Zone's Ecological Condition in the Seaside of Adjara'', Journal of Tourism and Hospitality Management. 2018, Vol. 6, No. 1, pp. 25-32.
10. Putkaradze M., Chichileishvili K., Kamadadze C., Ananidze M., Putkaradze L. Ecologic problems of recreational zone of Batumi sea coast. International Multidisciplinary Scientific GeoConference: SGEM; Sofia, 2021.
11. Путкарадзе М, Функции, проблемы и перспективы города Батуми. Актуалъные процессы формирования науки в новых условиях. Сборник статей международной научно-практической конференции 10 марта 2016 г. Москва, 2016.

Territorial organization and Ecological condition of functional green recreational zones of Batumi city

Merab Putkaradze, Monika Lipartia

Batumi Shota Rustaveli State University

merab.putkaradze@bsu.edu.ge, monikalipartia12@gmail.com

Abstract

The traditional and modern research methods were used to study the organization of Batumi city's green functional zones, their recreational significance, and their potential. The research assesses the carrying capacity of these zones for both local residents and tourists. Several ecological issues related to recreational activities in certain green functional zones have been identified. The study also proposes strategies for the sustainable use of these recreational areas and addresses the need to optimize the harmonious functioning of urban territorial systems.

Keywords: Recreation, Tourism, Relax, Ecology